ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის
ჯემალ ბიბილეიშვილის საანგარიშო შეხვედრა მოსახლეობასთან

საანგარიშო პერიოდში რეგლამენტით და სხვა შესაბამისი კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურების დაცვით, მე, როგორც საკრებულოს წევრმა მონაწილეობა მივიღე საკრებულოს, ბიუროსა და კომისიების სხდომებში, კერძოდ:

1. საკრებულოს 12 რიგითი და 5 რიგგარეშე სხდომა.
2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის 10 სხდომა, განხილული საკითხების რაოდენობა 11.
3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის,ქონების მართვის და საქალაქო მეურნეობის კომისიის 20 სხდომა, განხილული საკითხების რაოდენობა 108.

ჩემთვის განსაკუთრებით პრიორიტეტულია ახალგაზრდების მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა, მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრირება, ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება. ახალგაზრდული პროგრამის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს, ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა, რომლის ფარგლებში დაფინანსდა 8 ინიციატივა,

- რობოტოტექნიკა უკეთესი მომავლისთვის (ქუთაისში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის რობოტიკის შემსწავლელი კურსის შექმნა და დაფინანსება, მათ შორის: თამაშების შექმნა, რობოტოტექნიკა, პროგრამირება და 3D მოდელირება. რობოტოტექნიკაში ჩემპიონატის ჩატარება
- ციფრული განათლება მეწარმეებისთვის (ახალგაზრდების პოტენციალის რეალიზება, მათი უნარების განვითარების, ეკონომიკური გაძლიერებისა და დასაქმების ხელშეწყობა; კვალიფიციური მენტორების მეშვეობით, დამწყები მეწარმეებისათვის საჭირო უნარების შეძენა.)
- სტუდენტური დასაქმების ფორუმი (საგანმანათლებლო, სხვადასხვა კერძო თუ სახელმწიფო ორგანიზაციების სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, ქუთაისში ფორუმის გამართვა, სადაც ახალგაზრდებს შესაძლებლობა ექნებათ განვითარდნენ პროფესიულად.)
- KUTAISI CUP (კიბერ სპორტის ჩემპიონატის ჩატარება, ციფრული თამაშებითა და პროგრამირებით დაინტერესებული ახალგაზრდების გამოვლენა, მათი უნარჩვევების განვითარება და სოციალიზაცია.)
- ქუთაისის ახალგაზრდული ფესტივალი (ადგილობრივი მოხალისე ახალგაზრდების მიერ სოციალური სივრცის მოწყობა, სადაც წარმოდგენილი იქნება სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები, რას ხელს უწყობს ტურიზმის განვითარებას, ჯანსაღი სოციალურ-კულტურული გარემოს შექმნას და ქართული სამზარეულოს მრავალფეროვნების წარმოჩენას, ასევე ადგილობრივი კომპანიების პოპულარიზაციას.)
- „სამოქალაქო თავდაცვის კომპონენტების თეორიული და სიმულაციური სწავლება“ (სამხედრო და სალაშქრო საქმით საზოგადოების დაინტერესება, ახალგაზრდებში

ჯანმრთელი ცხოვრების წესის ხელშეწყობა და მათ ყოველდღიურობაში ფიზიკური აქტივობის გაზრდა.)

- „კონტენტ კრეატორები ქუთაისიდან“ (ახალგაზრდებისათვის თანამედროვე ტექნოლოგიების შესწავლა; ქ. ქუთაისზე პოდკასტებისა და ბლოგების შექმნა.)
- „დრონების ეროვნული ფესტივალი“ (ქალაქ ქუთაისში დრონების შექმნის, მართვის, რბოლების მოწყობის, აეროდინამიკის, ელექტრონიკის, პროგრამირებისა და რობოტიკის მიმართულებით საგანმანათლებლო კლუბის შექმნა).

2024 წლის მიმდინარე პერიოდში ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ასევე შემდეგი ღონისძიებები:

- 12 აგვისტოს ჩატარდა ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, ყველა იმ კომპონენტის ჩართულობით, რაც ახალგაზრდებს აძლევს გართობის, დასვენების, შემეცნებისა და საკუთარი თავის რეალიზების შესაძლებლობას.

1. ქუთაისის იუმორისტული ჯგუფი -,,იშვიათი იმერლები“ დაფინანსდა, ქ.თბილისში მსკ ჩემპიონატზე ტრანსპორტირებისთვის.
2. დაფინანსდა ა(ა)იპ ,,სიცილის ლიგას“ მიერ ორგანიზებული იუმორისტული ჩემპიონატი
3. 15 ქუთაისელი ახალგაზრდის მონაწილეობა დაფინანსდა ,,საქართველოს სკაუტური მოძრაობის ორგანიზაცია - საქართველოს სკაუტების“ მიერ ორგანიზებულ ბანაკში
4. 11-12 ოქტომბერს მუხნარის ტყე-პარკში ჩატარდა ახალგაზრდული მუსიკის ფესტივალი „yellow fest” რომელშიც მონაწილეობდა 6 ადგილობრივი და მოწვეული ბენდი, ღონისძიებას 10 000 მდე ადამიანი დაესწრო.
5. 12 აგვისტოს ჩატარდა ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, ყველა იმ კომპონენტის ჩართულობით, რაც ახალგაზრდებს აძლევს გართობის, დასვენების, შემეცნებისა და საკუთარი თავის რეალიზების შესაძლებლობას.
6. ქუთაისის იუმორისტული ჯგუფი -,,იშვიათი იმერლები“ დაფინანსდა, ქ.თბილისში მსკ ჩემპიონატზე ტრანსპორტირებისთვის.
7. დაფინანსდა ა(ა)იპ ,,სიცილის ლიგას“ მიერ ორგანიზებული იუმორისტული ჩემპიონატი
8. 15 ქუთაისელი ახალგაზრდის მონაწილეობა დაფინანსდა ,,საქართველოს სკაუტური მოძრაობის ორგანიზაცია - საქართველოს სკაუტების“ მიერ ორგანიზებულ ბანაკში
9. 11-12 ოქტომბერს მუხნარის ტყე-პარკში ჩატარდა ახალგაზრდული მუსიკის ფესტივალი „yellow fest” რომელშიც მონაწილეობდა 6 ადგილობრივი და მოწვეული ბენდი, ღონისძიებას 10 000 მდე ადამიანი დაესწრო.

მაქვს აქტიური შეხვედრები მოქალაქეებთან. ხდება მათი პრობლემების და ინიციატივების მოსმენა, უფლებამოსილების ფარგლებში ვცდილობ მოვახდინო რეაგირება მერიის სამსახურებთან შუამდგომლობისა და ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე.

ჯემალ ბიბილეიშვილი

ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრი

5.